(კონსოლიდირებული ვერსია აღმასრულებელი საბჭოს
2023 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით
შეტანილი ცვლილებების შესაბამისად)

ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში
ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებულმა „ბავშვის უფლებათა კონვენციამ“ შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც - ბავშვები არიან განსაკუთრებული უფლებების მქონე ადამიანები და არა ქველმოქმედების მხოლოდ პასიური ობიექტები. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ.

საქართველო, ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს მიუერთდა და შესაბამისად, აიღო ვალდებულება, მიუსადაგოს არსებული კანონმდებლობა და სისტემები კონვენციაში ასახულ პრინციპებსა და ნორმებს.

პროფესიონალთა სპეციალიზაცია ბავშვის უფლებების დაცვის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ბავშვთა უფლებების დაცვის სისტემის ეფექტური ადმინისტრირებისთვის, მნიშვნელოვანია, მასში ჩართული ყველა პროფესიონალის შესაბამისი მომზადება და სპეციალიზაცია.

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის სექტემბერში მიიღო „ბავშვის უფლებათა კოდექსი“. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი და ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებები, მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა მიმართ განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვს. სამართალწარმოების განხორციელებისას, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვა ყველა მონაწილე უწყების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს 73-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბავშვის უფლებების დაცვა განახორციელონ სპეციალიზებულმა პირებმა.

ამასთან, ***საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის*** *5[1]* მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, „არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი ან/და არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით მოწვეული სხვა შესაბამისი სპეციალისტი“.

ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2020 წლის 11 ივნისის სხდომაზე დამტკიცდა წინამდებარე დებულება, რომელიც არეგულირებს ადვოკატთა სპეციალიზაციის წესსა და პროცედურებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 1.
ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის პროცესის მართვასა და მონიტორინგს ახორციელებს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი.

მუხლი 2
ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სპეციალიზებული კურსი ონლაინ სასწავლო კურსის სახით თავსდება ადვოკატის პორტალზე და ხელმისაწვდომია ყველა მოქმედი წევრისთვის, სპეციალიზაციის შესაბამისად.

მუხლი 3.
ადვოკატს, ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სპეციალიზაცია მიენიჭება სპეციალიზებული კურსის სრულად და კურსის ტესტირების წარმატებით გავლის საფუძველზე.

მუხლი 4.
ბავშვის უფლბების დაცვის სფეროში სასწავლო მოდულის/დღის წესრიგი შედგება შემდეგი საკითხებისგან:
ა) ბავშვის უფლებათა კოდექსი;
ბ) ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები;
გ) ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემა;
დ) ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
ე) დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი);
ვ) ფსიქოლოგის როლი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში ბავშვის მონაწილეობით;
ბავშვთა უფლებების კოდექსით გათვალისწინებულ პუნქტებში ფსიქოლოგის საქმიანობის ძირითადი სფეროები;
ზ) ნებისმიერი ასაკისა და განვითარების ბავშვთან ურთიერთობის თავისებურებები;
ბავშვის განვითარების თავისებურებანი, მიჯაჭვულობის როლი, ფსიქო-სოციალური და მორალური განვითარება;
თ) სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები ფსიქოლოგიურ ჭრილში;
ი) მშობელი ბავშვის/ბავშვების ფსიქოლოგიური სირთულეები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები;

კ) სოციალური მუშაკის როლი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალის მართლმსაჯულებაში და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ბავშვის მონაწილეობით, ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით.
ლ) სოციალური მუშაკის როლი ოჯახური დავებისა და აღსრულების საქმეებზე.
მ) ბავშვის საჭიროებები და მშობელთან/ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები.
ნ) სოციალური მუშაკების სამუშაო ინსტრუმენტები და შეფასების პრინციპები.
ო) ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული მომსახურებები.

მუხლი 5.

5.1. ბავშვის უფლებების სპეციალიზებული ონლაინ სასწავლო კურსის სრულად გავლის შემდგომ, სპეციალიზების მიღების მსურველი ადვოკატები აბარებენ კურსისთვის განსაზღვრულ ტესტირებას, სპეციალიზაციის შესაბამისად.
5.2. ბავშვის უფლებების სპეციალიზებული კურსის ტესტირებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ სისხლის, სამოქალაქო და საერთო სპეციალიზაციის მქონე მოქმედ ადვოკატებს.
5.3. ტესტირება მოიცავს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებს.
5.4. ტესტირება შედგება 20 (ოცი) კითხვისგან:
5.4.1. ბავშვის უფლებათა კოდექსი - 10 (ათი) კითხვა;
5.4.2. საერთაშორისო რეგულაციები - 5 (ხუთი) კითხვა;
5.4.3. ფსიქოლოგიური და სოციალური მუშაკის კომპონენტი - 5 (ხუთი) კითხვა.
5.5. ტესტირების ფარგლებში თითოეული კითხვა შედგება ფაბულისა და 4 სავარაუდო პასუხისგან, საიდანაც მხოლოდ ერთი პასუხია სწორი.
5.6. ტესტირება წარმატებით ჩაბარებულად ეთვლება კურსის მონაწილეს ოცი კითხვიდან მინიმუმ 15 (თხუთმეტი) კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში.
5.7. ტესტირების ხანგრძლივობა როგორც წესი შეადგენს 2 (ორი) საათს.
5.8. კურსის ტესტირება ტარდება დისტანციური (ონლაინ) ფორმით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტირების განრიგის შესაბამისად. საჭიროებისამებრ შესაძლოა ჩატარდეს ფიზიკურ სივრცეშიც.
5.9. ბავშვის უფლებების სპეციალიზებული კურსის გავლის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ვერ ჩააბარებს ტესტირებას, შესაძლებლობა აქვს მიიღოს მონაწილეობა შემდგომ ტესტირებაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტირების განრიგის შესაბამისად.

მუხლი 6.

6.1. ტესტირების შედეგების გასაჩივრება კურსის მონაწილეს შეუძლია, კურსისთვის განსაზღვრული ტესტირების შემდგომ, ერთი ტესტირების ფარგლებში ერთჯერადად, მისთვის ნაშრომის ოფიციალურად გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
6.2. საჩივარს განიხილავს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფი.

6.3. საჩივრის განხილვა ხდება საჩივრის მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.
6.4. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაჩივრებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ დგება ექსპერტის დასკვნა და ოქმი.
6.5. ტესტების შემდგენ პირთა და ექსპერტთა ჯგუფის წევრ პირთა ვინაობა კონფიდენციალურია.

მუხლი 7.
7.1. სპეციალიზებული კურსის სრულად გავლისა და ტესტირების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე, ადვოკატს მიენიჭება ბავშვის უფლებებში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსი.
7.2. ადვოკატის სპეციალიზაცია ბავშვის უფლებების სფეროში დასტურდება საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელ მოწმობასა და წევრთა ერთიან სიაში შემდეგი ჩანაწერით - „*ბავშვის უფლებები (სამოქალაქო-ადმინისტრაციული)*“.

მუხლი 8.
ბავშვის უფლებების სპეციალიზებული სასწავლო კურსი და ტესტირება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის უფასოა.